№ 01/26

26. 04. 2023 წ.

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“

უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „სუფთა მსოფლიო“-ს მიერ დაგეგმილია ქ.თბილისში, ჭირნახულის ქ. №14 დ-ში პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების (პოლიეთილენის შესაფუთი ფირების) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.3 ქვეპუნქტის თანახმად "ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასაწარი დამუშავებისა" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა, გარდა ამ მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის შესაბამისად "თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები".

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული სკოპინგის პროცედურის საფუძველზე, „შპს „სუფთა მსოფლიოს“ პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 ივლისის №2-661 ბრძანებით გამოცემული იქნა 2020 წლის 20 ივლისის №65 სკოპინგის დასკვნა.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ, 2020 წლის 20 ივლისის №65 სკოპინგის დასკვნა) საფუძველზე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებულ გზშ-ის ანგარიშსდა თანდართულ დოკუმენტაციას.

დანართი: 1. გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ;
2. არატექნიკური რეზიუმე (დოკუმენტების ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ.;
3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 2 ეგზ;
4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
5. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

პატივისცემით,

ნოდარ მარუშაშვილი

შ.პ.ს. „სუფთა მსოფლიო“-ს დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
26 04 2023 წ.
№ 3601